

შპს „დაიმონდ პროექტს“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2021 წლის 31 დეკემბერს

შპს „დაიმონდ პროექტს“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებით შენიშვნები	7-13

შპს „დაიმონდ პროჯექტს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	შენიშვნა	2021	2020	2019
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	6	1,017,542	1,190,323	1,361,080
საინვესტიციო ქონება		160,958	148,287	148,287
მონაწილეობა სხვა საწარმოში		761,977	700,977	437,977
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,940,477	2,039,587	1,947,344
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
ფული და ფულის ეკვივალენტები		889,709	1,017,211	387,086
სავაჭრო მოთხოვნები		114,702	41,252	6,282
გადახდილი ავანსები		818,040	797,907	109,218
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		7,552,013	8,298,863	8,405,857
სხვა მიმდინარე აქტივები		171,071	396,328	777,618
სულ მიმდინარე აქტივები		9,545,535	10,551,561	9,686,061
სულ აქტივები		11,486,012	12,591,148	11,633,405

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	(623,515)	(2,926,904)	(4,158,448)
სულ საკუთარი კაპიტალი	(623,415)	(2,926,804)	(4,158,348)

ვალდებულებები


სავაჭრო ვალდებულებები	136,551	124,184	309,264
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	6,237,117	9,307,294	9,581,294
სხვა ვალდებულებები	5,735,759	6,086,474	5,901,195
სულ ვალდებულებები	12,109,427	15,517,952	15,791,753

სულ საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები

11,486,012	12,591,148	11,633,405
-------------------	-------------------	-------------------

დირექტორი:


ბუღალტერი:



შპს „დაიმონდ პროექტს“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარებში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	7,398,293	4,701,930
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,459,909)	(1,944,181)
საერთო მოგება		3,938,384	2,757,749
სხვა საოპერაციო შემოსავლები		590	460
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(562,349)	(401,408)
ფინანსური შემოსავალი		6,109	-
საოპერაციო მოგება		3,382,734	2,356,801
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		(1,071,337)	(1,122,741)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(8,008)	(2,516)
მოგება დაბეგვრამდე		2,303,389	1,231,544
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,303,389	1,231,544
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		2,303,389	1,231,544

დირექტორი:
 ბუღალტერი:



7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	8,166,037	4,860,833
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(3,403,015)	(3,270,567)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(971,403)	(73,141)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,791,619	1,517,125
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა ინვესტიციის სახით	(311,000)	(263,000)
სესხის პროცენტის მიღება	6,109	-
ფულადი სახსრების შემოსვლა ინვესტიციის შემცირების გამო	250,000	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(54,891)	(263,000)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	876,000
სესხის ძირის გადახდა	(2,825,826)	(1,150,000)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,038,404)	(350,000)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(3,864,230)	(624,000)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(127,502)	630,125
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	1,017,211	387,086
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	889,709	1,017,211

დირექტორი:

ბუღალტერი:

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დაიმონდ პროექტს“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი -31.12.2019 წ.	100	(4,158,448)	(4,158,348)
2020 წლის წმინდა მოგება /(ზარალი)		1,231,544	1,231,544
ნაშთი - 31.12.2020 წ.	100	(2,926,904)	(2,926,804)
2021 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)		2,303,389	2,303,389
ნაშთი - 31.12.2021 წ.	100	(623,515)	(623,415)

დირექტორი:



ბუღალტერი:

ნ. ჯუღაიშვილი

შპს „დაიმონდ პროექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "დაიმონდ პროექტს" დაფუძნდა 2011 წლის 27 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან:

-პინჰას ოლშევიტსკი, /ისრაელი/ 12.5%;

-იეჰუდა ბენ სიმონ, /ისრაელი/ 35%

-აბრაჰამ ოლშევიტსკი, /ისრაელი/ 40%

-ცვი ოლშევიტსკი, /ისრაელი/ 12.5%

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: ცვი ოლშევიტსკი - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, მარაბდის ქუჩა, N33, ბინა N14

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფუნქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების

შპს „დაიმონდ პროექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარჩებებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. 2022 წლის 1 ივლისამდე მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სასამართლო დავა სსიპ შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსთან. დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. თანხა 52915 ლარის ოდენობით. კომპანია ფიქრობს რომ დავა გადაწყდება მის სასარგებლოდ, შესაბამისად თანხობრივი ასახვა არ პოვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. წარმოდგენილი ორგანიზაციის მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცემელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

შპს „დაიმონდ პროექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება გადაზიდვების მომსახურების საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

	2021	2020
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	12 121	1 012 476
ფული საბანკო ანგარიშზე (დოლარი) ექვ. ლარში	401 479	4 735
ფული სადეპოზიტე ანგარიშზე	476 109	-
სულ	889 709	1 017 211

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	10
ოფისის სტრუქტურა	5 - 8
ავტო და სხვა ინვენტარი	5 - 8
სხვა	4 - 5

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მისი გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას,

შპს „დაიმონდ პროექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	737,175	466,974	9,477	1,213,626
შემოსვლა			2,414	2,414
გასვლა	(161,450)			(161,450)
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	575,725	466,974	11,891	1,054,590
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	-	(17,728)	(5,575)	(23,303)
ცვეთა 2020		(12,305)	(1,441)	(13,746)

შპს „დაიმონდ პროჯექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(30,033)	(7,016)	(37,049)
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31.12. 2020	737,175	449,246	3,902	1,190,323
საბალანსო ღირებულება 31.12. 2021	575,725	436,941	4,875	1,017,541

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 7 398 293 ლარი

შემოსავალი	2021	2020
საქიწლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	7 380 319	4 678 999
მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	17 974	22 931
სულ	7 398 293	4 701 930

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენილი:

	2021	2020
კომუნალური ხარჯი	5,589	2,483
ოფისის ხარჯი	2,332	2,525
სამუშაო მომსახურების ხარჯი	1,329	34
აიტი მომსახურების ხარჯი	3,093	3,300
რეკლამის ხარჯი	18,512	15,164
მომსახურების ხარჯი	213,551	114,277
თარჯიმნის მომსახურების ღირებულება	513	998
სანოტარო მომსახურების ხარჯი	3,169	3,098

შპს „დაიმონდ პროჯექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საჯარო რეესტრის ხარჯი	5,114	7,233
ბანკის მომსახურება	2,646	1,567
ცვეთა და ამორტიზაცია	13,746	13,996
დაზღვევა	15,459	12,373
კომუნიკაციის ხარჯები	2,811	2,253
სხვა საგადასახადო ხარჯი	6,411	6,998
საპენსიო ფონდის ხარჯი	4,239	2,601
შრომის ანაზღაურება	263,689	210,245
სხვა ხარჯი	146	2,263
	562,349	401,408

9. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

10. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის

შპს „დაიმონდ პროექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რელიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

	ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2020
მიღებული სესხი დამფუძნებლისგან	6,237,117	9,307,294
სესხზე გადასახდელი პროცენტი	4,817,001	4,967,525
სულ	11,054,119	14,274,819